

# სიღარიბესთან ბრძოლა საქართველოში: სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა

ეკატერინე როსტომაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის  
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად.*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სიღარიბის დაძლევა საქართველოს ხელისუფლების წინაშე მდგარ ყველაზე დიდ საშინაო გამოწვევას წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს უკანასკნელი წლების განმავლობაში სიღარიბის დასაძლევად საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადმული ნაბიჯები. ნაშრომში დიდი ადგილი სახელმწიფო პოლიტიკას ბავშვებთან მიმართებაში უკავია, როგორც განსაკუთრებით მოწყვლად და მნიშვნელოვან კატეგორიისადმი, რომელთა კეთილდღეობასაც გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სიღარიბის დონის შემცირებაზე. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის გარდა, ნაშრომში მიმოხილულია სხვადასხვა პოლიტიკის ალტერნატივები და საყურადღებო გარემოებები, რომლებიც პოლიტიკის შემმუშავებლებმა უნდა გაითვალისწინონ სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირებისას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: სიღარიბე, სოციალური დახმარება, საარსებო შემწეობა, ბავშვი, UNICEF, სოციალური ინვესტირება.

## Abstract

Since gaining independence, one of the most important domestic challenges Georgia has been faced with is massive poverty. The goal of the presented paper is to demonstrate the steps undertaken by the Georgian Government in recent years. The role of child poverty alleviation is discussed at length in the paper, since the welfare of children has significant impact on poverty reduction, in the longer term. The paper also discusses policy alternatives and important considerations that policymakers will need to take into account ahead of the scheduled social assistance program reform.

Keywords: Poverty, Social Assistance, Social Benefits, Child, UNICEF, Social Investment.